პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 19 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

185 (883) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ.

## გაამუქეთ, როგორ ემზადება წითელ-არმიელი შვებული სოფელში სამუშაოდ.

სოფლად მუშაობისათვის მზადება შეიქმნა ჩვენი წითელი ჯარის ერთ-ერთ დამკვრელ ამოცანად.

წითელ-არმიელი შვებული სახლში დაბრუნების დროის მოახლოების გამო ჯამს უკეთებს თავის სწავლებას წითელ ჯარში და გამალებით ემზადება მომავალ საზოგადოებრივ მუშაობისათვის.

ეს დიდი მნიშვნელობის მომენტია ჩვენი ჯარის ცხოვრებაში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ეს მომენტი ვერ პოულობს სათანადო გაშუქებას. ჩვენი სამხკორები ძლიერ ცოტას სწერენ ამის შესახებ.

და ეს იმ დროს, როცა საწერი მასალა აუარებელია.

საჭიროა მხოლოდ დაკვირვება, ყურადღება და მონდომება და ჩვენი სამხკორების წინაშე სავსებით გადაიშლება ამ დიდი მზადების მთელი სურათი.

საჭიროა ჩვენს გაზეთს სამხკორებმა ფართედ მოაწოდონ ამ მზადების თითეული მნიშვნელოვანი ფაქტი. უნდა სწერო იმის შესახებ თუ რაში გამოიხატება თითეული შვებულის მზადება სოფლად მუშაობისთვის, რა კეთდება თვით ნაწილის მიერ; აგრეთვე დიდათ საჭიროა იმის გაშუქებაც, ხომ არ ახდენს რაიმე გავლენას სოფლად მუშაობისათვის მზადება მომავალ მანევრების წარმატებით გატარებაზე.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ წითელ ყაზარმაში ყოფნის უკანასკნელ მომენტამდე ყოველმა წითელ-არმიელმა იოტის ოდენათაც არ უნდა შეასუსტოს სამხედრო სწავლება. განსაკუთრებით კი ის უნდა შეეცადოს თავის გულმოდგინე და ენერგიული მეცადინეობით ხელი შეუწყოს მანევრების ნაყოფიერად ჩატარებას.

წითელ-არმიელები-შვებულები აგრეთვე მოვალენი არიან მოაწოდონ თავის გაზეთს წერილები, სადაც ისინი აღწერენ თავისი მომავალ მუშაობის გეგმას.

ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც აღელვებს და აინტერესებს წითელ-არმიელს-შვებულს უვადო შვებულებაში წასვლასთან დაკავშირებით-ყოველივე ეს მან უნდა გაუზიაროს თავის მეგობარ გაზეთს და სთხოვოს მას ყველა გაუგებარი საკითხების ახსნა და განმარტება.

გაზ. „წითელი არმიელი“ მზადაა ყოველმხრივ დაეხმაროს უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებს.

სამხკორებო! სწერეთ როგორ ემზადება შვებული-წითელ-არმიელი სოფელში წასასვლელად!

შვებულო, მოიწერე შენი მომავალ მუშაობის გეგმებზე სოფელში.

## ბურჟუაზიული ტერორი პოლონეთში.

პოლონეთის ბურჟუაზიის სი-მკაცრი ტერორი.

მხეცეს საზღვარი არ უჩანს. მისი პოლიცია და ჟანდარმერია გაცოფებული სდევნის რევოლიუციონერ მუშებს და კომუნისტური პარტიის წევრებს. დღე არ გავა ისე, რომ პოლონეთის „ოხრანკამ“ (საიდუმლო პოლიციამ) არ შეიპყროს რომელიმე რევოლიუციონური მოღვაწე ან ვერაგულად არ გამოასალმოს სიცოცხლეს მუშათა კლასის თავისუფლებისათვის ერთი რომელიმე მებრძოლი.

თუ თვალს გადავავლებთ პოლონეთის ეკონომიურ მდგომარეობას ჩვენთვის ნათელი გახდება ბურჟუაზიის ასეთი მხეცური ტერორის მიზეზები.

ეკონომიური კრიზისი დაბადებიდანვე დაყვა პოლონეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკას.

და რაც დღე გადის ეს კრიზისი უფრო მწვავდება და ღრმავდება. ან ნიადაგზე იზრდება უკმაყოფილება ფართე მშრომელთა მასების. პოლონეთის ფული ყოველ საათობით ეცემა, რაც მძიმე ტვირთად აწვება მშრომელთა მასებს. პოლონეთის მუშის პირობები პირდაპირ აუტანელია. არც უკეთეს მდგომარეობაშია პოლონეთის გლეხობა, ვინაიდან საუკეთესო მიწები მემამულეების ხელშია.

პოლონეთის ბურჟუაზია შეუბრალებლად სჩაგრავს იმ ეროვნულ უმცირესობებს, რომლებიც პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან. ასეთია ებრაელები, უკრაინელები და სხვა. დღითიდღე ეს უკმაყოფილება არსებული წესწყობილებით იზრდება პოლონეთში და განადგურებით ემუქრება ბურჟუაზიის ბატონობას. ამიტომაც არის, რომ პოლონეთის ბურჟუაზიულ ხელისუფლებამ სასტიკი ტერორი გააჩაღა იქ და იარაღით ხელში, უხეში ტლანქი ძალმომრეობით აპირებს თავის ბატონობის შენარჩუნებას.

განსაკუთრებით ის ვერ ითმენს პოლონეთის კომუნისტური პარტიას. და ეს გასაგებიცაა. ვინაიდან მან იცის, რომ მისი ყველაზე უფრო სასტიკი და საშიში მტერია კომპარტია. და აი პოლონეთის მთავრობის ძალღონე მიმართულია იმისკენ, როგორმე მოიშოროს ეს საშიში მტერი. ათასგვარი პროვოკაციული ხრიკების, თუ სასტიკი დევნის საშუალებით პოლონეთის კონტრრევოლიუციონური—მთავრობა სცდილობს სახელი გაუტეხოს კომპარტიას და გაანადგუროს ის ფიზიკურადაც.

დღეს პოლონეთის სამხედრო, საველე სასამართლო გაასამართლებს სამ ახალგაზრდა კომუნისტს რუტკოვსკის, კნიევსკის და გებნერს, რომლებმაც განიზრახეს პროვოკატორის მოკვლა და პოლიციის თავდასხმის დროს თავი მოიგერიეს და იმსხვერპლეს რამოდენიმე პოლიციელი.

ჩვენ კარგად ვიცით რომ პოლონეთის ბურჟუაზიული სასამართლო მათ სიკვდილის განაჩენს გამოუტანს და ვერავითარი მშრომელთა პროტესტები ამ სასჯელისაგან მათ ვერ იხსნის. მაგრამ ერთი კი ცხადია. თითეული ტერორისტული აქტი და საზიზღარი მკვლელობა ძვირად დაუჯდება პოლონეთის პანებსა და კაპიტალისტებს. თავისი ტერორით ისინი არამც თუ არ შეამცირებენ კომპარტიის რევოლიუციონურ რიგებს, არამედ ხელს შეუწყობენ მის ზრდას და გაძლიერებას.

გაძლიერებული კომპარტია კი ღირსეულად შეასრულებს ისტორიის მიერ დაკისრებულ ამოცანას. პოლონეთის მუშებთან და გლეხებთან ერთად ის კისერს მოუგრეხს პოლონეთის ბურჟუაზიას და მემამულეებს.

ეს დრო არც ისე შორსაა.

ნუ დაავიწყდებათ ეს პოლონეთის მყვლეფელებს.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ბერლინში მომხდარ სისხლის ღვრის გარშემო.

15 აგვისტოს ბერლინის ქუჩებზე სადემონსტრაციოდ თავმოყრილ მუშებს თავს დაესხა პოლიცია, რის შედეგათ მოკლულ და დაჭრილ იქნა რამოდენიმე კაცი. ეს შემთხვევა თითზე დაიხვია ბურჟუაზიამ და გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებს კომპარტიის წინააღმდეგ. ავრცელებენ ხმებს თითქოს წითელ ფრონტელებმა პირველად აუტეხეს სროლა პოლიციას. დამსწრეები ამტკიცებენ, რომ პოლიციამ მოულოდნელად, გაუფრთხილებლივ აუტეხა სროლა დემონსტრანტებს.

სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ფორვერტსი“ სდუმს ამის შესახებ.

ნაციონალისტების გაზეთი მხურვალედ იცავს პოლიციის მოქმედებას.

## მდგომარეობა ინგლისის ქვანახშირის სამრეწველოებში.

ტომასისა და კუკის სიტყვა.

ინგლისის ქვანახშირი სამრეწველოებში შექმნილ კრიზისის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ტომასმა (ინგლისის მუშათა ერთ-ერთი შემთანხმებელი ბელადი) მან განაცხადა, რომ კრიზისის გადაჭრის უკანასკნელ საშუალებად ის სთვლის ნაციონალიზაციას, მაგრამ წინააღმდეგია იმის რომ ეს არ მოხდეს მუშათა ზეგავლენით.

ამ საკითხის შესახებ სამხრეთ უელსში კუკმა (სამთომადნო მუშათა ფედერაციის მდივანი) განაცხადა: „ეხლა ყველამ გაიგო რომ მუშები ძალაა. ამ ძალამ აიძულა მთავრობა ერთ ღამეს შეეცვალა თავიანთი გადაწყვეტილება. რევოლიუცია დადგება და იმ დროსთვის მე მინდა, რათა პროლეტარიატის არმია იყოს დისციპლინიანი და ესმოდეს თავისი ამოცანა.“

## „თავისუფალ მოაზროვნეთა საერთაშორისო კონგრესი“.

პარიზში შემდგარ „თავისუფალ მოაზროვნეთა საერთაშორისო—კონგრესმა“ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლონეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

პოლონეთის პრემიერს გაეგზავნა პროტესტი ბოტვინის სიკვდილით დასჯისა და გიბნესის, კნიევსკისა და რუტკოვსკის მიმართ უფლების დარღვევისთვის.

დეპეშა მოითხოვს ფართე ამნისტიას და პოლიტიკურ დანაშაულობისთვის სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

## მოწოდება გიმნერის, კნიევსკისა და რუტკოვსკის დასაცავად.

საფრანგეთის 63 გამოჩენილმა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწემ გამოუშვა მოწოდება პოლონელ კომუნისტების გიბნერის, რუტკოვსკისა და კნიევსკის დასაცავად, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელის.



კნიევსკი.

„პოლონეთის მთავრობამ—ნათქვამია დეკლარაციაში—შემოიღო პროვოკაციისა და ცილისწამების წესი. პოლონელი მუშები გიბნერი, კნიევსკი და რუტკოვსკი ამის წინააღმდეგ იბრძოდენ. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მშვიდობიან დროს საგანგებო სასამართლოს წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია მუშებისადმი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იცავენ თავიანთ სიცოცხლეს.“

მოწოდებას სხვათა შორის ხელს აწერს ჰანრი ბარბიუსი, მადლენ მარკსი და ჟან პრევო-

## ბრძოლა იქნება სასტიკი და უმაგალითო.

ინგლისის რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ დობიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წელში ჩვენ გავხდებით მოწამენი დიდი ბრძოლის, როგორსაც ჯერ კიდევ ადგილი არ ჰქონია რკინისგზაზე.

ეს ბრძოლა იქნება მეტად სასტიკი, როგორიც არას დროს არ უწარმოებია ჯერ რკინისგზელებს, ვინაიდან რკინისგზის მეპატრონეებს არას დროს არ გადაუწყვეტიათ მუშათა ხელფასის შემცირება, როგორც ეხლა.

# ინგლისის კომპარტიის მოწოდება.

## უთანასწორო ხელშეკრულებათა გაბათილებისთვის.

ინგლისის კომპარტიამ ჩინეთის ამბების გამო გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოუწოდებს ინგლისის მუშათა კლასს ზეგავლენა მოახდინოს მთავრობაზე, რათა მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, სადაც სხვათაშორის განხილულ უნდა იქნას საკითხი უთანასწორო ხელშეკრულებათა გაბათილების შესახებ. ინგლისის ჯარებმა, საზღვაო და საჰაერო ფლოტმა უნდა დასტოვონ ჩინეთის ტერიტორია.

## ომი მაროკოში.

### ფრანგები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებენ აჯანყებულთა სოფლებს.

საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ საფრანგეთ-ესპანეთის ჯარების წარმატებას მაროკოში და აცხადებენ, რომ ბევრი ტომი უარს ამბობს აბდ-ელ-ქერიმის მომხრეობაზე და სტოვებენ მის რიგებს.

ეს შედეგები მიაღწიეს სასტიკი ზომებით, რომელსაც მიმართავდა საფრანგეთის ჯარები, რომლებიც ანადგურებენ აჯანყებულ სოფლებს, სწვავენ ყანებს და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობას.

# საბჭოთა კავშირში

## პოლონეთის თავხედობას არა აქვს დასასრული.

6 აგვისტოს მინსკის ახლოს სანაპირო რაიონში პოლონეთის ჯარის კაცმა სასიკვდილოდ დასჭრა ჩვენი სანაპირო ნაწილის წითელ არმიელი კოსტრიჩევი.

საგარეო საქმეთა კომისარმა გაუგზავნა პოლონეთის მისიას ნოტა მოთხოვნილებით, რათა ეს საქმე გამოძიებულ იქნას შერეულ კომიის მიერ.

## ჭიათურის შავი ქვის კონცესიის გარშემო.

### ქონების ჩაბარება.

დღეიდან სააქციონერო საზოგადოება „ქართული მარგანეცი" იწყებს ქონების მიღებას შავი ქვის მრეწველობის განსაკუთრებულ სამმართველოსაგან.

### შავი ქვის გაზიდვა.

„ქართული მარგანეცი"-ს გამზიდავ კანტორას გააქვს ყოველდღიურად 80 რონოდი შავი ქვა. ჭიათურაში მუშაობს 180 მტვირთავი. ფოთში—350.

# ამ მოკლე ხანში.

## ტფილისში გაიხსნება უფასო, იურიდიული დახმარების ბიურო

### სამხედრო მოსამსახურეთათვის.

**გახსნის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.**

# რევოლიუციონური კანონიერება არმიაში.

წინასწარი მუშაობის შემდეგ კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სამხედრო-საპროკურორო ორგანოები უკვე შეუდგა ძირითად მოთხოვნილებათა პრაქტიკულად გატარებას ჩვენი კანონიერების განმტკიცების საქმეში.

პირველ და ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს წითელ არმიელთა იურიდიული დახმარების ბიურო. ამ ბიუროს ამოცანებში შედის რჩევა დარიგებისა და იურიდიული ცნობების მიცემა წითელ არმიელთათვის საინტერესო საკითხებში. ეს საკითხები თავის მხრივ იყოფიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან წმინდა სამხედრო ყოფა-ცხოვრებასთან, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის გავლასთან.

აქ შედის საკითხები წითელ არმიელთა და მათი ოჯახების შესახებ, მომარაგების საკითხები, საკითხები სამსახურის ვადის შესახებ და სხვა.

მეორე ჯგუფში შედის რჩევა-დარიგების მიცემა (კონსულტაციის) არმიის გარეშე საკითხების შესახებ, როგორიცაა: სამიწო ხასიათის, შრომის კოდექსის, სოციალურ დაზღვევის საკითხები და სხვა.

მუშაობის მეთოდებია: სიტყვიერი, ზეპირი რჩევა-დარიგების მიცემა, და აგრეთვე სათანადო განცხადებების, საჩივრებისა და შუამდგომლობის დაწერა.

ასეთი ბიუროები უკვე მოწყობილი არიან ქ. ერევანში, ბათუმში, ხოლო ამ დღეებში ასეთი ბიურო მუშაობას დაიწყებს ტფილისში.

ბიუროს მუშაობის დაწყების წინ საჭიროდ მივაჩნია მოკლედ ავხსნათ ასეთის როლი.

მაგალითისთვის მოვიყვანთ: წითელ არმიელი ღებულობს სოფლიდან წერილს, რომელშიაც მას სწერენ, წერილის გამომგზავნთა შეხედულებით, რომ ვერ იქნა წესიერად გავრცელებული კანონი მიწით სარგებლობისა და წითელ არმიელთა შეღავათების შესახებ.

წითელ არმიელებმა არ იციან, დაწვრილებით ეს კანონები. ასეთ შემთხვევაში, რათა მისცეს სწორი იურიდიული რჩევა-დარიგება მშობლებს, წითელ არმიელმა უნდა მიმართოს აღნიშნულ ბიუროს იურიდიული დახმარებისთვის და იქ ის მიიღებს პრაქტიკულ რჩევას.

ამრიგად, ერთი, რომ ის შეითვისებს სათანადო კანონს, და დემობილიზაციით სახლში დაბრუნებისას, შესძლებს ხელი შეუწყოს კანონის წესიერად გატარებას. მეორედ აქ, იურიდიული რჩევის მიღების შემდეგ უკანასკნელის სახლში გაგზავნით არამც თუ მარტო ეხმარება ოჯახს, არამედ აძლევს კიდეც საშუალებას ბევრ მის თანამესოფლეებს ისარგებლონ ამ იურიდიული რჩევით.

გარდა ამისა იურიდიულად დახმარების ბიურომ გაითვალისწინა და შემდეგში აწარმოებს წითელ არმიელთა გაზეთში ახსნა-განმარტებას, ხოლო თუ საჭირო იქნება, განცხადების ნიმუშებსაც მოათავსებს სათანადო მისამართების აღნიშვნით საერთო, უფრო ხშირ საკითხებზე.

არმიის პროკურატურა მიზნად ისახავს განამტკიცოს რევოლიუციონური კანონიერება მისი გაცნობის საშუალებით წითელ არმიელთა ფართე მასებზე.

იურიდიული დახმარების ბიუროს მოწყობით ჩვენ პირველ-ყოვლისა ვსცდილობთ და გვინდა გავაღვიძოთ თვითეული სამხედრო მოსამსახურის შეგნებაში რევოლიუციონური კანონიერებისადმი ინტერესი, რათა სახლში დაბრუნების შემდეგ ის წარმოადგენდეს საბჭოთა ხელისუფლების არა მარტო დამცველს, რომელსაც შეეძლება მხოლოდ თოფის ხმარება, არამედ კანონის ცოდნით შეიარაღებულ მოქალაქესაც.

ა. ლიუბიმოვი.

„კრ. ვ."

# სამხედრო საქმე

## მომავალ მანევრებისთვის.

### რა უნდა იცოდეს მეომარმა ჯავშნოსნებთან ბრძოლის დროს.

მომავალ მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ჯავშნოსანი მანქანები, ტანკები, ჯავშნიანი მატარებლები და ავიაცია.

თვითეულმა მეომარმა წინასწარ უნდა იცოდეს არსებული მდგომარეობა, რომელშიაც შეიძლება ჯავშნოსან—მანქანების შემუსვრა.

ჯავშნოსან—მანქანებზე სროლის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჯავშნოსანი ავტომობილის დაზიანება შეიძლება ჯავშან—მმუსრავი ტყვიით 75 მეტრ მანძილამდი. მანქანა შეიძლება ჩაითვალოს დამარცხებულად, თუ კი მას ამ მანძილიდან უშენდენ 3 წუთის განმავლობაში.

ნოვიცკის ბომბი აზიანებს მანქანას, თუ მეორეხელ მოხვდება მანქანას ქვეშ ან ბორბლებში, ხოლო ხელით სატყორცნი გრანატები (ჩვეულებრივი) აზიანებს მეხუთეჯერ მოხვედრის შემდეგ, თუ ვიგულისხმებთ ორივე შემთხვევაში, რომ გატყორცნილ ბომბების (გრანატების) ერთი მეოთხედი ნაწილი მოხვდა მიზანში.

რაც შეეხება ქვეემს, რომელიც ესვრის ჯავშნოსან მანქანას პირდაპირი მიმართვით ერთ კილომეტრზე, ორი წუთის სროლის შემდეგ ჯავშნოსანი ზიანდება.

ტანკებს აზიანებს არტილერიის ცეცხლი (გრანატა) და ნოვიცკის ბომბები მეოთხეჯერ მოხვედრის შემდეგ, თუ ვიანგარიშებთ, რომ მიზანში მოხვდა გასროლილ ყუმბარების (ბომბების) მეოთხედი ნაწილი.

ჯავშნოსანი მატარებელი არტილერიის ცეცხლით ზიანდება ისე, როგორც ფარიანი ბატარეია. გარდა ამისა მეომრებს უნდა ახსოვდეს, რომ მანევრებზე მტრის ცეცხლისადმი დაუდევრობისათვის, მსაჯული გამოიყვანს მწყობრიდან ცალკე პირებს ან მთელ ნაწილს დასასჯელად.

ამიტომ მანევრებზე უნდა მოქმედებდე ისე, როგორც ნამდვილ საბრძოლო გარემოებაში.

ი. ბარ.

# შვებულებაში მიმავალო, არ შეარცხვინო წითელი არმია!

(დასასრული)

საბჭოთა ხელისუფლება მეტად ზრუნავს იმის შესახებ, რომ როგორმე ჩქარა გაუთანასწოროს სოფელი ქალაქს. ის არ არის დამნაშავე იმაში რომ მეფის მთავრობას სიბნელეში ჰყავდა გლეხობა, არ ასწავლიდა წერა-კითხვას, არ აძლევდა განათლებას, უკეტავდა მეცნიერების კარებს, სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა და მმართველობის გზას. ეხლა ეს შესაძლებლობა არის. და წითელი არმია მეტ ყურადღებას აქცევს იმას, რათა მის რიგებში ნამსახური გლეხი გამოვიდეს არა მარტო მებრძოლი, არამედ შეგნებული საბჭოთა მოქალაქე.

მხოლოდ მებრძოლი—მოქალაქე წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების წევრს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მხოლოდ ასეთ პირობებში უჭირავს თოფი მას შეგნებულად და დაიცავს თავს საჭიროების დროს. და მხოლოდ ამ შემთხვევაში წითელი არმია წარმოადგენს გლეხობისთვის სკოლას, რომელიც უშვებს პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად მომწიფებულ, შეგნებულ მოქალაქეებს. მხოლოდ ასეთი მეომარი იქნება სოფლად მოწინავე საზოგადოებრივი მომუშავე, ახალი წესწყობილების, ახალი ცხოვრების მონაწილე, საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს ძველი დროის მობრუნებას, ვინც ღარიბთა ხარჯზე უკეთესად სცხოვრობდა მეფის დროს.

საბჭოთა ხელისუფლება მზადაა დიდი მსხვერპლი გაიღოს, ოღონდ გლეხობის მდგომარეობა გააუმჯობესოს.

წითელი არმიის დიდი ნაწილის ტერიტორიალურ მილიციონურ სისტემაზე გადასვლა ამის საუკეთესო საბუთია. თუ შენ 2 წლის განმავლობაში იმსახურე განუწყვეტლივ და მოწყვეტილი იყავი შენს მეურნეობას, ტერ-ნაწილებში წითელ-არმიელები თავს იყრიან წვრთნებისთვის 5 წლის განმავლობაში სულ არა უმეტეს 8—12 თვისა. და მასთან ეს შეკრება ხდება მუშაობიდან უფრო თავისუფალ დროს. ტერ-არმიელი არ შორდება დიდი ხნით თავის შრომას. ეს ერთი. მეორეს მხრ ვ საბჭოთა ხელისუფლება სცდილობს, რათა წითელი არმია რაც შეიძლება უფრო იაფი დაუჯდეს მოსახლეობას, განსაკუთრებით გლეხობას. მუდმივი არმია, როგორც მეფის დროს იყო, დიდ ხარჯებს მოითხოვდა და მძიმე ბარგად დააწვებოდა მშრომელ მოსახლეობას. საბჭოთა ხელისუფლება გადავიდა ტერ-სისტემაზე. ეს გაცილებით იაფი ჰდება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სამსახურის მოკლე ვადა ტერ-ნაწილებში არ იძლევა იმ ცოდნას, როგორსაც განუწყვეტელი ყაზარმული სამსახური. და შენ უნდა დაეხმარო შენის ცოდნით ტერ-არმიელებსა და წვევამდელებს. განსაკუთრებით უნდა აჩვენო მას დისციპლინის მაგალითი, ვინაიდან შენ უკეთ გესმის სამხედრო სამსახურის მოთხოვნილება და იცი თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის წესრიგსა და შეგნებულად მოქცევას. ეხლა ახალი კანონის მიხედვით, 2 წლის სამსახურის შემდეგ შენ შემდეგი სამი წლის განმავლობაში ითვლები უვადო შვებულებაში, სახლში და იმავე დროს ირიცხები ნამდვილ სამხედრო სამსახურში. ეს შენგან მოითხოვს ისეთ მოქცევასა და მაგალითს, რათა ყველა ხედავდეს და გრძნობდეს, რომ საქმე აქვს შეგნებულ წითელ-არმიელთან, თუმცა ის უკვე ფორმას არ ატარებს. ჩვენთვის ფორმა მხოლოდ გარეგნული მორთულობაა, ხოლო თავიდათავი—ეს არის ადამიანის შეგნებული მოპყრობა წითელ-არმიელის წოდებისადმი, რომელიც წარმოადგენს მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლებისა და ყველა ჩაგრულთა დამცველს. თვითეული ტერ-არმიელი შენში უნდა ხედავდეს თავის ნამდვილ უფროს ამხანაგს, რომელსაც შეუძლია დახმარება გაუწიოს თავისი ცოდნით, სწავლებით, რომელშიაც ის უნდა ხედავდეს მხოლოდ ერთ კარგ მაგალითს.

მე ვფიქრობ, რომ შენ არას დროს არ იქნები გულნაკლული წითელ არმიაზე. მან, რაც კი შეეძლო, ყველაფერი მოგცა. ის შენ გასწავლიდა წერა-კითხვას, თუ ასეთი არ იცოდი, გასწავლიდა პოლიტიკას, ვინაიდან თავის სახელმწიფოს დღეს მუშები და გლეხები აშენებენ, რომელთაც უნდა შეეძლოთ თავის საზოგადოების მართვა; ის გიხსნიდა ბუნების მოვლენებს, გასწავლიდა მათთან ბრძოლას, მისი ძალების გამოყენებას მეურნეობის სასარგებლოდ; ის გასწავლიდა, თუ როგორ უკეთ აწარმოო თვით მეურნეობა, რათა აიყვანო კავშირის ცხოვრება დღემდის არ არსებულ სიმაღლემდი. ასე რომ, ძალიანაც რომ ეცადო, ვერაფერს ცუდს ვერ მოიგონებ.

უფრო ადრე თავის უკმაყოფილო იქნები, თუ რომ უყურადღებო იყავი და არ გამოიტანე წითელი არმიიდან ყველაფერი ის, რის მოცემაც მას შეეძლო შენთვის, რასაც ის გაძლევდა. მაგრამ საქმის გამოსწორება ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია. გეჭიროს კავშირი წითელ არმიასთან, ნუ დაივიწყებ მას და შენ შეივსებ იმ ცოდნას, რაც დაგაკლდა. ხოლო შეერთებული მუშაობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, პარტიასთან, მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქოხ-სამკითხველოში, კოოპერაციაში, ურთიერთ-დამხმარე კომიტეტში, სამხედრო ცოდნათა და სასპორტო წრეებში—ყველაფერი ეს მოგცემს შენ დღითი-დღე სულ ახალ-ახალ ცოდნას. და თუ რომ მოგიხდება წითელი არმიის რიგებში დაბრუნება მობილიზაციით, თუ რომ საჭირო იქნება თავის საბჭოთა მიწის დაცვა, შენ დაბრუნდები ღირსეულ მეომარ—მოქალაქედ, რომელსაც უფლება აქვს მოელოდეს საბჭოთა ხელისუფლება.

შვებულებაში მიმავალო, არ შეარცხვინო შენი წითელი არმია, იყავი მუდამ მისი ღირსეული შვილი, ყოველთვის მოწინავე საზოგადოებრივი და სამეურნეო მუშაკი. ეს არის ჩემი უმთავრესი თხოვნა.

საზღვაო და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი

მ. ფრუნზე.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## წერა-კითხვის უცოდინარეობას ბოლო მოეღო ჩვენს სკოლაში.

მე-6 ლეგიონი.

ჩვენს სკოლაში სწავლის დასაწყისში ირიცხებოდა 20-მდე კურსანტი სრულიად წერა-კითხვის უცოდინარი, რასაც პოლიტ-ლექტორებმა მიაქციეს დიდი ყურადღება. დაკვრითი წესით დაიწყეს მათთან მეცადინეობა. ამ მიზნით გამოყოფილი იქნა და მიმაგრებული მათზე მომზადებული კურსანტები, რომლებიც ყოველდღიურათ განსაზღვრულ საათებში აწარმოებენ მეცადინეობას და იჩენენ საქმისადმი მაქსიმალურ ენერგიას. თავის მხრივ წერა-კითხვის უცოდინარი კურსანტებიც დიდ ენერგიას იჩენენ წერა-კითხვის შესასწავლად და მიუხედავათ იმისა რომ სამხედრო და პოლიტ-საათების მეცადინეობით დაღლილნი არიან მაინც დიდი ხალისით ესწრებიან ნაშუადღევის წ. კ. უც. სალიკვიდაციო მეცადინეობას.

დღეს კი წერა-კითხვის უცოდინარეობას ბოლო მოეღო და არ არის არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ჩვენს სკოლაში.

სკოლის სამხკორი ი. ბ.

## ჩვენც შევისწავლეთ წერა-კითხვა.

მე 6 ლეგიონი.

მე-6 ლეგიონის მეშვიდე ასეულში სამი თვეა, რაც დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

სკოლაში მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს საღამოს ხუთი საათიდან ექვს საათამდე. წითელ-არმიელებს დიდი სურვილი აქვთ წერა-კითხვის შესწავლის. ისინი დიდის ენერგიით და მონდომებით ეწაფებიან სწავლას. თითქმის ჩვენი ასეულის უმრავლესობამ შეისწავლა წერა-კითხვა. გვაქვს კარგათ მოწყობილი ლენინის კუთხე.

კუთხეში კვირაში ორჯერ იმართება სხვა და სხვა თემებზე საუბრები. სწარმოებს ხმა-მაღალი გაზეთის და წიგნების კითხვა და წაკითხულის გარჩევა.

წ. არმ. ვ. კოხრეიძე.

## ასწავლეთ სანიტრობა.

მეექვსე ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის დაარსებიდანვე ლეგიონის ქსენონში დანიშნულ იქნენ სამი წითელი არმიელი სანიტრებათ.

ამათ შორის ერთმა, გვარათ მიქაუტაძემ სახელი გაითქვა თავისი სიმკაცრით. არ დარჩენილა წითელი არმიელი, რომ მიქაუტაძეს მასთან ჩხუბი არ მოსვლოდე. მასთან მისულ ყველა წითელ არმიელს უხეშათ ეპყრობა და ეუბნება; „ხვალ მოდი, ეხლა ექიმი არ არისო."

ასეთი მოპყრობა ძლიერ ცუდათ მოქმედობს წითელ არმიელებზე.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება ჩვენი ნაწილის მესვეურებმა და ასწავლონ ხსენებულ მიქაუტაძეს, თუ როგორ უნდა მოეპყრას წითელ არმიელებს.

წ. არმიელი ხარაზაშვილი.

## ჩვენი საქმიანობა.

2-ე არტ. ლეგიონი.

ჩვენს ნაწილში ყველა ტერ-არმიელები შეგნებულად ეკიდებიან ყოველგვარ საქმეს და დიდი წყურვილი აქვთ სწავლის შეძენის.

ჩვენთან წითელ არმიელების მოთხოვნით კლუბმა დაარსა სკოლა მცირე მცოდნეთათვის, სადაც წითელ არმ ელები იკრიბებიან საღამოობით და მეცადინეობენ. მათ ასწავლიან ჯერჯერობით ანგარიშს და დედა ენას.

სკოლაში მასწავ ებლათ თვით წითელ არმიელები არიან, რომლებიც ენერგიულად და ბეჯითად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

სამხკორი ქ-ძე.

## შეგვიკეთეთ ფეხსაცმელები.

1-ლი ლეგიონი.

ზაფხულის პერიოდში ხშირი მეცადინეობის გამო ტანისამოსი უფრო ადრე იხევა, ვინემ ზამთარში. განსაკუთრებით ცუდი დღე დაადგა ფეხსაცმელებს. ტანისამოსს და ფეხსაცმელებს შეკეთება უნდა. როცა დახეულ ტანისამოსს შეგვამჩნევენ გვეუბნებიან დაიკერეო, მაგრამ დასაკერებელი არაფერი გვაქვს, ამაზე კი არაფერს ამბობენ. საჭიროა დაჩქარებით შეკეთებულ იქნეს ფეხსაცმელები, თორემ მისმა ლურსმნებმა ერთიანად დაგვიოხრა ფეხები და ტანისამოსის დასაკერებლად მოგვეცეს ძველი ტანისამოსი.

წ. არმ. თ. სიკინჭილაშვილი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## დრამ-წრის მუშაობა.

მეთაურთა სკოლა.

დრამ-წრე როგორც ასეთი საბანაკო მუშაობის დროს არ არსებობდა; იგი გაცილებით ფართო იყო ვიდრე ზამთარში და მის მუშაობაში მრავალი არა წევრიც იღებდა მონაწილეობას.

მთავარი ხელმძღვანელობა კლუბს ეკუთვნოდა და დრამ-წრის ყველა გამოცდილი წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ.

იყო ცდა ახალი პიესების დადგმისა. საკლუბო-მასიურ მუშაობის პროგრამაში შეტანილი იყო აგიტ-ბალაგანი, აგიტ-ლუბიკი, აგიტ-რადიო, მაგრამ ნივთიერი უსახსრობის გამო პროპაგანდის ეს ახალი ფორმები ვერ ჩავატარეთ და მუშაობის სიმძიმე ისევ რევოლიუციონურ პიესებს და უბრალო ინსცენიროვკებს დააწვა.

15 მაისიდან 2 ნახ. თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა რამოდენიმე სპეციალური „საღამო-კამპანიები", რომელშიაც, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც სხვა წრეებიც იღებდენ მონაწილეობას. ასეთი იყო: სამხედრო სკოლებისა და მცხოვრებთა შეხვედრის კამპანია; 2. ქართ. მეთაურთა სკოლის 4-წლის თავი; 3. საბჭოთა კონსტიტუციის დღე; 4. წიგნის საღამო და „კარნავალი", აგრეთვე 5. „გამოსათხოვარი საღამო" 21-სკოლაში.

ამ რიგად „საღამო-წარმოდგენები" გაიმართა: I. საერთო ბანაკის მაშტაბით 5, II. სკოლის კლუბში 10, III. სოფლებში 9 და IV. დივიზიის კლუბში 1. სულ 25.

აღნიშნულ „საღამო-წარმოდგენებში" სამი (3) „საღამო" გაიმართა კომ-კავშირელთა ძალებით, სპეციალურად კომ-კავშირისთვის.

როგორც ზემოდაც დავინახეთ სოფლად მუშაობასაც დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

აღსანიშნავია, რომ ქართველი კურსანტები სხვა სკოლების „საღამოებშიაც" იღებდენ მონაწილეობას; ცეკვით სიმღერებით, სცენებით, კუპლეტებით და სხვა.

სოფლად მუშაობაც უმეტეს შემთხვევაში სამხედრო სკოლების საერთო ძალებით ტარდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი რთული და ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა (25-საღამო-წარმოდგენები) დამყარებული იყო მცირე მასალებზე და ხშირად სხვა და სხვა ადგილას ერთი დაიმავეს განმეორება გვიხდებოდა.

საბანაკო (საკლუბო-მასიურ) მუშაობის სიმძიმე დრამ-წრემ გადაიტანა. მომავალში აუცილებელია ყველა წრეების მუშაობაში ჩაბმა, ამოქმედება და ახალი, შესაფერი მასალებით უზრუნველყოფა.

ეს—ერთად-ერთი და საუკეთესო გზაა საკლუბო მასიურ მუშაობის გაშინაარსებისათვის.

სამხკორი ჩვენი.

## ვეხმარებით ობლებს.

(ქარ. სამხ. პოლიტ-სკოლა)

11 აგვისტის, მთელი სკოლის შემადგენლობამ წავედით № სასროლ ველზედ ჰაეროპლან „იუნკერსის" დასათვალიერებლად. აქ მოგროვდა აუარებელი ხალხი, როგორც მოხუცებულები, ისე ახალგაზრდები და ბავშვებიც. ამ უკანასკნელში ერეოდა შიშველ-ტიტველ 10 წლის სოფლელ გლეხის ობოლი ბავშვი მთავარი ყურადღება კურსანტებისა მიიპყრო ამ ბავშვმა ჩვენ ეს ულარიბესი ბავშვი გადმოვიყვანეთ ჩვენ მხარეზე, წამოვიყვანეთ სკოლაში და განვიზრახეთ დახმარების აღმოჩენა.

მართლაც აღმოუჩინეთ დახმარება. სამნეო ნაწილმა მისცა, ხალათი, შალვარი, საცვლები, ქუდი, ქამარი და ბათინკა.

კურსანტებმა წავიყვანეთ ეს ბავშვი აბანოში, დავბანეთ ტანი და ჩავაცვით ტანთსაცმელი და ფეხ-საცმელი. საგულისხმოა იყო, რომ როდესაც გავაცილეთ სკოლიდან, ენტუზიაზმით აღტაცებული ბავშვი ეგებება თავის ნაცნობ მეზობლებს.

ასეთმა მოპყრობამ და დახმარების აღმოჩენამ უპატრონო ბავშვებისათვის (ასეთივეს წინადაც ქონდა ადგილი) ჩვენს სკოლას შესაფერისი სახელი მოუპოვა სოფლის გლეხობაში.

კურსანტი ლ. გაბედავა.

## გააკეთეთ წყლის ონკანი.

1-ლი ლეგიონი.

ტფილისის გარნიზონის აბანოში ყოველ დღიურად აუარებელი წითელ არმიელები მოდიან საბანაოდ.

აბანოს ეზოში მათ დიდ ხანს უხდებათ რიგში დგომა და ლოდინი. აბანოს ეზოში არ არის წყლის ონკანი და წითელ არმიელებს უხდებათ სხვის ეზოებში სიარული წყლის დასალევად. სახლის პატრონები უშლიან წ. არმიელებს წყლის დალევას და კეტავენ ონკანებს.

ამ აუტანელ სიცხეებში უწყლობა პირდაპირ აუტანელია. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და აბანოს ეზოში მოეწყოს წყლის ონკანი.

სამხკორი ი. ბარელაძე.

## პოლიტლატარია ჩვენთან.

პირველი საარტილერიო ლეგიონი.

ბანაკად გასვლის შემდეგ ჩვენმა ნაწილმა სისტემატიური მეცადინეობით დაამთავრა პოლიტ-საათები გაზაფხულის გამოწვეულებთან.

ამის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელებმა განმეორებასთან ერთად დაიწყეს პოლიტ-საათების შეთვისების გამოკვლევა. აღმოჩდა, რომ წითელ არმიელთა უმრავლესობას კარგათ შეუთვისებია და გადაუმუშავებია პოლიტ-საათის ყოველი თემა.

პოლიტ-საათების პროგრამის დამთავრების შემდეგ კლუბმა 29-30 ივლისს მოაწყო პოლიტ-ლატარია გაზაფხულის გამოწვეულთათვის, რითაც ყოველი ცალკე ჯგუფი დაუახლოვა ერთი-მეორეს და რაც უმთავრესია, მისცა ნათელი წარმოდგენა ყველა ჯგუფის ხელმძღვანელს თავიანთ წითელ არმიელების ცოდნაზე, რომ შემდეგში გამოასწოროს ყოველი ნაკლი.

პოლიტ-ლატარიის დროს შეკითხვებზე კარგათ მოპასუხე წითელ არმიელებს კლუბმა დაურიგა საჩუქრები.

ყოველი წითელი არმიელი ეჯიბრებოდა ერთი-მეორეს, რომ გაეცა სწორი პასუხი მიცემულ შეკითხვებზე. მიცემულ შეკითხვებზე, თუ რომელიმე ვერ გასცემდა სრულ და დამაკმაყოფილებელ პასუხს, მათთვის იმართებოდა პასუხის კონკურსი.

საჭიროა ასეთი პოლიტ-ლატარიები ხშირად ეწყობოდეს ჩვენთან.

სამხკორი ტ. ხევალი.

## ეს დაუშვებელია.

ქართულ მეთ. სკოლა.

ჩვენ სკოლას აქვს სახელოსნო, სადაც მუშაობს დაახლოვებით ექვსი-შვიდი კაცი, რომლების მოვალეობას შეადგენს გაუკეთონ კურსანტებს უფასოთ ფეხსაცმელები. მაგრამ საუბედუროთ ეს ასე არ ხდება. როცა მიდიან მათთან კურსანტები და მიაქვთ შესაკეთებლათ ფეხსაცმელები, ესენი მაშინვე ეტყვიან: ფული თუ გაქვს გავაკეთებთო, თორემ მე ისე არა მცალიანო.

ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი; შვებულებაში წასვლის დროს შვებულებაში მიმავალმა კურსანტებმა შეაკეთებიეს ფეხსაცმელები, თითეულფეხსაცმელის შეკეთებაში ახდევინებდენ ორ-სამ მანეთს და თუ ფული არ ჰქონდათ ატოვებინებდენ სათანადო ხელწერილებს.

დროა ამ მოვლენას მიაქციოს ყურადღება სკოლის სამნეო-ნაწილმა და ერთხელ და სამუდამოთ მოუღოს ბოლო მას.

დამსწრე.

## ჩვენი მუშაობა.

1-ლი ლეგიონის სკოლა.

ჩვენი ნაწილის კომუჯრედის მუშაობა თანდათან დგება ნორმალურ კალაპოტში. კრებები სისტემატიურად იმართება და ყოველთვის ირჩევა, როგორც მიმდინარე მომენტის ისე ადგ. ყოფაცხოვრების საკითხები.

ამასთანავე ერთად კომუჯრედი კარგ ხელმძღვანელობას უწევს წრეების მუშაობას და ა. ლ. კ. კავშირს.

სკოლაში მოწყობილია სხვა და სხვა წრეები, როგორიც არის პოლიტიკური, ლიტერატურული, კოოპერატიული, საბიბლიოთეკო და სხვა.

ყველა წრეს ყავს კარგი ხელმძღვანელი და მეცადინეობაც სისტემატიურია.

14 აგვისტოს მოწვეულ იქნა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ პარტწევრები და უპარტიო წითელ-არმიელები. კრებაზე ჩინეთის ამბებზე მოხსენება გააკეთა ამხ. მაისაიამ, რომელმაც დამსწრეთა გასაგები ენით დაასურათა ჩინეთის მშრომელი ხალხის ბრძოლის მნიშვნელობა.

მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვები რაზედაც მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ კრება, ჩინეთის მშრ. ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას თანაგრძნობას უცხადებს და სხ.

პარტკორი ა. ხაჟალია.

## მოგვეცით წესდებები ქართულ ენაზე.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის სკოლა ამ ცოტა ხანში გამოუშვებს უმცროს მეთაურებს. კურსანტები გულმოდგინეთ მეცადინეობენ და კარგათ ითვისებენ სამხედრო საქმეს. ყველა ერთი—მეორეს ეჯიბრება სწავლაში.

ხშირად კურსანტთა შორის იმართება ბაასი სამხედრო საქმის შესახებ. ბაასში ყველა ღებულობს აქტიურ მონაწილეობას.

სკოლის მეცადინეობას ხელს უშლის მხოლოთ სამხედრო წესდებების უქონლობა, ქართულ ენაზე.

თუ არის, ისიც ძველია და ეხლა მას აღარ აქვს თავისი მნიშვნელობა, რადგან ახალსა და ძველს წესდებებს შორის დიდი განსხვავებაა.

ჩვენი მეთაურები იძულებულნი არიან გვითარგმნონ რუსული წესდებებიდან. ჩვენ თვითონ რომ გვინდოდეს მისი გადათვალიერება ამისი საშუალება არა გვაქვს, რადგან არ ვიცით რუსული ენა.

თუ შესაძლებელია მოგვაწოდეთ ქართული წესდებები.

ახკორი ი. ზუმბაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## 1-ლ ლეგიონის კომუჯრედში.

14 აგვისტოს მოხდა პირველ ლეგიონის მე-3 ასეულის კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრენ როგორც, პარტიული ამხანაგები, ისე უპარტიო წითელ არმიელებიც. კრებას აგრეთვე დაესწრო სამოქალ. ორგანიზაციიდან ტყავტრესტის წარმომადგენელი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოს ცაკ ს მეორე სესიის მუშაობის შესახებ და 2. მიმდინარე საკითხები. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ოდიშარია, რომელიც ფართედ აშუქებს სესიის მუშაობას და კრებას აცნობს მის დადგენილებებს. მიმდინარე საკითხებში წინადადება შემოიტანა უჯრედის პასუხისმგებელ მდივანმა, რომ გამოშვებულ იქნას კედლის გაზეთი და მოუწოდა დამსწრეთ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მის გამოშვებაში. კრებამ დაავალა რედკოლეგიას გაზეთის გამოშვება და აღუთქვა დახმარება. შემდეგ კრებამ დაავალა რამოდენიმე ამხანაგებს მომავალ კრებისათვის მოხსენების გაკეთება „რემედასის“ მუშაობის შესახებ.

სამხედრო **ჩაგელიშვილი.**

## ახკომკავშირელთა შორის.

### ქართულ მეთაურთა სკოლა.

ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტების შვებულებაში წასვლის გამო მესამე ა. ლ. ქ. კ. მე-3 უჯრედში მუშაობა შეწყდა დროებით. სკოლაში მხოლოდ კურსანტების მცირე ნაწილი დარჩა, რომლებიც ყოველ დღე განწესებაში დადიან.

უჯრედში მუშაობა დაიწყება მხოლოდ 5 ოქტომბერს. სოფელთან კავშირი არც ერთი წუთით არ შეუწყვეტილა.

ახკორი ა. რუხაძე.

## როგორ უნდა მუშაობდეს საკლუბო წრეები ჩვენს ნაწილებში.

წრეების მოძრაობას ნაწილებში ბევრი ნაკლი აქვს, რომლის გამოსწორება აუცილებელი საჭიროა, რათა წრეებმა თავისი მუშაობით მოგვცეს შესაფერი ნაყოფი. რაში გამოიხატება ეს ნაკლი?

ნაკლი არის შემდეგი: ნაწილებში წრეები არსდება სრულიად მექანიკურად, რომელიმე წრის ხელმძღვანელის, პოლიტხელის ან კლუბის უფროსის მიერ. ჩამოივლიან ასეულებში გამოაცხადებენ და წითელ არმიელთა შორის, „არსდება ეს და ეს წრე და ვისაც გსურთ ჩაეწერეთო“.

რასაკვირველია წით. არმიელი ეწერება, ამ შემთხვევაში, ან ხელმძღვანელ ამხანაგის ხათრით ან თავის ამხანაგების სირცხვილით.

როდესაც ხელმძღვანელი ამხანაგები მოცილდებიან, მათ ყოველივე ეს ავიწყდებათ, ვინაიდან ჩაწერამდი და ჩაწერის დროს ისინი არ იყვნენ გაცნობილი საქმის ვითარებას რის გამოც წრე ვერ იკიდებს ფეხს, მექანიკურად შემდგარი წრე იშლება და ნაწილებში რჩება მხოლოდ წრის წევრების სიები.

რა არის ასეთი მოვლენის მიზეზი? მიზეზი არის ის რომ უმეტესი ნაწილი კლუბის უფროსებისა, პოლიტხელებისა და წრის ხელმძღვანელებისა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პირველდაწყებითი მუშაობას ლენკუთხეებში, რაც საფუძველია წრის შენებისა და მისი ნაყოფიერი მუშაობის.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი წრის ხელმძღვანელები წრეში მუშაობას შემდეგნაირად უყურებენ, თითქოს მას უნდა ქონდეს გარკვეული პროგრამა და მეცადინეობა უნდა ხდებოდეს სასკოლო მეთოდით, რომელიც სრულიად უარყოფილია საკლუბო წრეების მუშაობაში. საკ. წრის მუშაობა წარმოადგენს სკოლის გარეშე მუშაობას. ასეთი შეხედულება წრის ხელმძღვანელების მიერ უნდა იქნეს უარყოფილი, როგორც არა სწორი შეხედულება წრის მუშაობაზე.

ამასთან ერთად უარყოფითი მხარეა წრის მუშაობაში ის, რომ წრეებს შორის არ არის მჭიდრო კავშირი და თუ არის სადმე ისიც ძლიერ სუსტი, რაც ხელს უშლის წრეების ნაყოფიერ მუშაობას.

**იო. მაისაია.**

## ხელისუფლების მოღვაწეობა.

### ამიერ კავკ. უმაღ. ეკ. საბჭოში.

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ საჭიროთ სცნო დაარსებულ იქნეს „ამიერ-კავკასიის სააქციონერო საზოგადოება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მოსახლეობისათვის მისაწოდებლათ.

მანვე დაამტკიცა აგრეთვე ა.-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის დებულების პროექტი და „ზაკნიკას“ წესდება.

**საქონლის შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში.**

ამ.-კავკასიის უმაღლ. ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა მომავალ 1925-26 წლის განმავლობაში საქონლის შემოზიდვის გეგმა.

მთელი შემოზიდული პურიდან 2 მილიონი ფუთი ხორბალი მოხმარდება ბამბის მეურნეობებს. ამიერ-კავკასიის ზოგიერთ რაიონებისათვის შემოზიდულ იქნება 5 ნახევარი მილიონი ფუთი პური. აღნიშნულ ოპერაციებს უხელმძღვანელებენ სახელმწიფო ბანკი და „ხლებო-პროდუქტი“.

პურის მიწოდება მოსახლეობისათვის და ადგილობრივ პურის მოგროვების საქმე (უნდა მოგროვდეს 500 ათასი ფუთი) მოხდება კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოების საშუალებით.

დიდი ყურადღება მიექცევა აგრეთვე ამ.-კავკასიაში საზღვარ გარეთიდან

**მანუფაქტურის შემოზიდვას.**

ამ მიზნით უკვე გამომუშავებულია ერთგვარი ნორმა, რაიც უდრის 72 მილიონ მეტრს, ანუ 900 ვაგონს.

ამასთანავე ერთად შემოზიდულ იქნება აგრეთვე 1.980-000 ფუთი შაქარი, შაქრის შემოზიდვას უხელმძღვანელებს უმთავრესათ შაქრის ტრესტი.

# ახალი ამბები.

— **ქუთაისში მუშათა სახ**ლების ასაგებათ საბინაო ალმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა გადასდო 10.000 მანეთი.

— **კიდევ მუშათა სახლი.** ტფ. ალმასკომის თავმჯდომარემ წინადადება მისცა ტრამვაის დირექტორს დაამუშაონ გეგმა ახალი მუშათა სახლის ასაშენებლათ ასი ათასი მანეთის ღირებულების.

— **თიონეთის შემოერთება.** ტფილისის მაზრას შემოუერთდა თიანეთის თემი 5 სოფლით

— **გლეხკომების გამოკვლევა.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა დაამთავრა გლეხკომების გამოკვლევა შორაპნისა და თელავის მაზრებში.

— **რემედასის წიგნები.** დაიბეჭდა და გამოვიდა ლეპეშინსკის წიგნი ქართ. ენაზე. „მსოფლიო რევოლიუცია და რემედასის მნიშვნელობა“.

— **გამოვიდა აგრეთვე წე**სდება რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციისათვის, მიღებული რემედასის საკავშირო ყრილობის მიერ.

## ამბები სოფლებიდან.

**სახლის გადაცემა.**

გორის ალმასკომმა გადასცა ადგილობრივ ყრუ-მუნჯთა სკოლას საეკლესიო სახლი.

**აფთიაქი ონში.**

რაჭის ალმასკომმა დაადგინა გააფართოვოს ონის აფთიაქი და აღნიშნული მიზნით გადასდოს შესაფერი თანხა.

**გორის გამსახლი.**

გორის ალმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წინაშე გორის გამსახურებელ სახლის შეხაკეთებლათ შესაფერი თანხის გაღების შესახებ.

**მორწმუნეთა საზოგადოება.**

რაჭის სამალმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა ნიკორწმინდის მორწმუნეთა საზოგადოება. მორწმუნეებს უკვე გადაეცათ ადგილობრივი ეკლესია.

**სინათლის გაყვანა.**

რაჭის ალმასკომმა თავის ხარჯზე გაუყვანა სინათლე ონში მდგარ სამხედრო-ტერიტორიალურ ნაწილს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ავტომატიური (თავისთავად მოქმედი) ჰაეროპლანი.

ამას წინად ინგლისის ჰაეროდრომზე ლონდონის მახლობლად გამოცდილ იქნა ახალი ტიპის დიდი ჰაეროპლანი. ამ ჰაეროპლანს აქვს ისეთი აპარატი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას საჭეს ავტომატიურად (თავისთავად) მართვისა.

ეს ახალი ჰაეროპლანი წარმოადგენს ბიპლანს. მასზე მოთავსებულია ერთი დიდი და ორი პატარა მატორი.

ერთი ასეთი გაფრენის დროს, რომელიც მოხდა ლონდონზე მფრინავმა ავტომატიური გადაკეტვის შემდეგ მიატოვა თავისი ჩვეულებრივი ადგილი და გადაჯდა სამგზავრო ოთახში. აქედან ის ადევნებდა თვალს ფრენას და სრულებით არ სწუხდა საჭეზე და ერთხელაც არ შეხებია საჭის ბორბალს; ჰაეროპლანის ფრენა ხდებოდა წინასწარ გათვალისწინებული მიმართულებით.

ინგლისში ფიქრობენ შეაიარაღონ ასეთი „ავტომატიური პილოტებით“ უპირველეს ყოვლისა საფოსტო ჰაეროპლანები და შემდეგ კი სამგზავრო.

ავიაციის საქმის კარგად მცოდნეები ირწმუნებიან, რომ ასეთი ავტომატიური მოწყობილებით ჰაეროპლანს ქარისა და ქარიშხალის დროს შეუძლია აიღოს სწორი და თანასწორზომიერი კურსი (მიმართულება), ვიდრე ეს ხდება საჭის ჩვეულებრივ მართვის დროს.

**ზღვის ამოშრობის გეგმა.**

ჰოლანდიის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 7,3 მილ. სულს, რომელთაგან 25 პროც. ცხოვრობს ქალაქებში: როტერდამში, ჰააგაში, ამსტერდამში და უტრეხტში. ჰოლანდიის მიწა-წყლის სივიწროვე იწვევს მოსახლეობის ქალაქებში გადასახლებას, სადაც უკვე ემჩნევა მუშა ხელის სიჭარბე.

ამიტომ, რომ ჰოლანდიის მიწა წყალი გააფართოვონ, განზრახულია დიდი მუშაობის წარმოება ზღვის იმ ყურეს ამოსაშრობად, რომელიც შეჭრილია ჰოლანდიის ტერიტორიაში (მიწა-წყალი).

მოედნის სივრცე, რომელიც უნდა იქნეს ამოშრობილი უდრის 2.000 კვ. ვერს.

ამ საქმის წარმოება დაჯდება 300 მილიონი მან. ოქროთი.

აუცილებელი ხარჯი მიღებულ იქნება სესხის სახით.

**მიწის ძვრის გამომწვევი მიზეზები.**

ვულკანების კარგად მცოდნე ტომას ჟაგარი იტყობინება ქ. გონოლულუდან (გავაის კუნძულებიდან), რომ ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ვულკან კილლეაუმ ამოხეთქა თვის ყელიდან გოგირდის დიდი რაოდენობა, სწორედ მაშინ, როცა მოხდა უკანასკნელი მიწის ძვრა მონტანას შტატში და კალიფორნიაში (ჩრდილოეთ ამერიკა).

ჟაგარის აზრით გავაის კუნძულების ვულკანები წარმოადგენენ ცენტრს მთელი დედამიწის ვულკანიური მოვლენების.

მისი აზრით მიწის ძვრის გამომწვევ მიზეზად არ ჩაითვლება, როგორც ამას წინად ფიქრობდენ, მიწის ქვეშ დაგროვილი ორთქლი.

მიწის ქვეშე დაგროვილი ორთქლი მიზეზი კი არაა, არამედ წარმომშობია თვით მიწის ძვრის.

მიწის ქვეშე რყევის დამანგრეველი თვისება მიეწერება დედამიწაში წყალბადისებური გაზის ქიმიურ შემადგენლობის წარმოშობას, რომელიც ახდენს ასეთ ძლიერ დამანგრეველ შენჯღრევას.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ლ-—ას.** თქვენი წერილი „ახკორის როლი მასაში“ არ გავა. მოგვაწოდეთ პატარ-პატარა კორესპონდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ახალწვეულს.** „უვადო შვებულებაში მიმავალთ“ არ დაიბეჭდება. სწერეთ იმაზე, თუ უვადო „შვებულებაში მიმავალნი როგორ მეცადინეობენ.

**ამხ. ჩვენს.** „სურამის ციხიდან“ არ დაიბეჭდება. მსგავსი სურათი სურამის ცხოვრებიდან იყო ჩვ ნს გაზეთში მოთავსებული.

**ამხ. ვოგგს.** „მოგვეცით რაც გვაკლია“ არ გავა. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**ამხ. კოხრეიძეს.** „უვადო შვებულებაში მიმავალ წ. ა. სოფლად“. არვარგა. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**ბზიველს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. სუსტია. სწერეთ კორესპონდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. საწირელს.** „თუ გსურს სამხკორი გახდე“ არ გავა. სწერეთ პატარ-პატარა კორესპონდენციები.

**ამხ. ილებარუსი.** „მიაქციეთ ყურადღება“ არ გავა. მოათავსეთ თქვენს კედლის გაზეთში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ოცისთავის თანაშემწეს, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს, ამხ. გიორგი ევტიხის ძე ფოცხიშვილს. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის

მე-10 **კომუჯრედში.**

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 2.